# ცნობის ფურცელი

№ 2516 კვირა, 6 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2516

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ...ის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

Feriencolonien. Colonie des vacances.

## „პატარა-ცემი“-ს საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. დამბაშიძისა

მოზარდ-ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჯირკვლების ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭირ ება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, ... და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყ ოფნა არ არგებს.

**ხანა:** ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. დამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—15)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობას საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება ივნისის 12-ს, ნაშუადღევს 1-ლ საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (არშაკუნისეული, გრიბოედოვის ქუჩაზე). კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგებათა განაწილების პროექტი. (6. 3—3)

## „იუქნიე ნომერა“

ბარონის ქუჩაზე, სახლი ა. მანთაშევისა, ახლად გადაკეთებულია. თითო ნომერი ქირავდება დღიურად 50 კაპ. დაწყებული და თვიურად 15 მანეთიდან დაწყებული. (6—230—1)

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

**მ. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.

**არ. მ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

**ბ. ა. ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

**ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**ნ. ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

**ზ. მ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

## ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—14)

კბილის ექიმი

## ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 8—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

## ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ, საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

ქუთაისში

## კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—15

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში

## იყიდება

## მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

## ხილეულის,

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—5ქ.—4)

ამ დღეებში გამოვა

## მოულოდნელი სიკვდილი

ლექსი

ანეტა კაპანაძისა. (1—1)

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 4 ივნისი

**ვილნა.** მრავალ ხალხის თანადასწრებით წავიდა სასანიტარო რაზმი ვილნის წითელ ჯვრის განყოფილებისა, რომელშიაც არიან: რწმუნებული გენერალ-მაიორი ნელიდოვი, 4 ექიმი, 10 მოწყალების და და 30 სანიტარი. რაზმი თავის ჩინებულ მოწყობილობით ყველა პროვინციალურ რაზმისაგან განირჩევა.

**ტოკიო.** („რეიტ. საag.“). ნისლმა კიდევ გადაარჩინა ვლადივოსტოკის ესკადრა. გავრცელებული ხმები ზღვაზე მომხდარ ბრძოლის შესახებ არა მართლდება. ადმირალმა შუნოდამ გაჰგზავნა ნაღმიან გემების ფლოტილია რუსების საძებნელად, მაგრამ ძლიერმა ქარმა, წვიმამ და ნისლმა დაუშალეს ამ განზრახვის ასრულება.

### 5 ივნისი

**ლიოიანი**, 4 ივნისი. გუშინ საღამოთი გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა ნახა ვაფანგოუსთან 1 და 2 ივნისს დაჭრილნი. დაჭრილნი ორის მატარებლით მოიყვანეს. გენერალი კუროპატკინი ესაუბრა დაჭრილებს და ხელმწიფე იმპერატორის სახელით დააჯილდოვა აფიცრები და სალდათები. ავადმყოფნი კარგად მოაწყეს. აფიცრები ერთხმად ამბობენ, რომ სალდათები მამაცად იბრძოდნენო. არტილერია ბოლომდე ასრულებდა თავის მოვალეობას. ბატარეიებთან მყოფნი რამდენჯერმე გამოიცვალნენ. პირველ ბრიგადის მეოთხე ბატარეის ბრძოლის დასასრულ უფროსობდა ფეიერვერკერი პოშკინი. პირველ ივნისის ბრძოლაში მოკლულ და დაჭრილ იქმნა 22 აფიცერი და 311 სალდათი. ამ რიცხვიდან პირველ პოლკისა იყო 12 აფიცერი და 200 სალდათი. ყველა სწუხს პოლკის უფროსის პოლკოვნიკის ხვასტუნოვის დაკარგვის გამო. ხვასტუნოვი წინ მიუძღვოდა პოლკს.

**ტოკიო** („რეიტ. საag.“). ოფიციალური. 2 ივნისს, დილით, კორეის სრუტეში გაჩნდა ვლადივოსტოკის ესკადრა, რომელშიაც იყო სამი დიდი კრეისერი „როსსია“, „გრომობოი“ და „რიურიკი“. ესკადრამ იერიში მიიტანა სატრანსპორტო გემებზე. ჩაძირულ „ხიტაშიმარუ“-დან მხოლოდ ცოტანი გადარჩნენ. „სიდომარუ“-დან, როგორც ამბობენ, გადარჩა მეზღვაურთა უმრავლესობა. ამ გემს რუსებმა ნაღმები დაუშინეს, მაგრამ ვერ ჩასძირეს. არ იციან, რა დაემართა „იცუმიმარუ“-ს. 3 ივნისს ვლადივოსტოკის ესკადრა მოსჩანდა კუნძულ ოკისთან. 2 ივნისს ადმირალ კამიმურას ესკადრა ზღვაში გავიდა ვლადივოსტოკის ესკადრის წინააღმდეგ.

გენერალი კუროკი იუწყება, რომ იაპონიის რაზმმა დაიჭირა ხაიჟენსიანი, რომელიც კუანდანსიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 65 მილის მანძილზე. რუსის რაზმში 300 კაცი იყო. იაპონელებს ზარალი არ მოსვლიათ. რუსების ზარალი ცნობილი არ არის. ერთ რუსის სალდათის პაგონებზე აღმოსავლეთ-ციმბირის მე-15 პოლკის ნომერი იყო.

**ტოკიო.** („რეიტ. საag.“). გადარჩენილნი მეზღვაურნი შემდეგს მოგვითხრობენ „ხიტაშიმარუ“-ს დაღუპვის შესახებ: „ჩვენ დავინახეთ რუსთა გემები დილის 7 საათზე. გვანიშნეს და ჩვენც შევჩერდით. 10 საათზე გაქცევა დავაპირეთ, მაგრამ რუსები დაგვედევნენ და ყუმბარები დაგვიშინეს. რამდენსამე წუთში მთელი პალუბა მოიფინა მოკლულთა გვამებით და შეიღება სისხლით. ერთი ყუმბარა მაშინის განყოფილებაში გასქდა და 200 კაცი მოჰკლა. გემმა უკანა ნაწილით დაიწყო ჩაძირვა და 6 საათზე სულ ჩაიძირა. რაზმის უფროსმა დასწვა დროშა და თავი მოიკლა, იმისმა თანაშემწემაც თავი მოიკლა. ბევრი ნავებში ჩასხდა და ისე უშველეს თავს.“

**ნაგასაკი.** („რეიტ. საag.“). იაპონიის სატრანსპორტო გემი „კაცუმატომარუ“ 3 ივნისს, ღამე, მოიის ნავთსადგურში შესვლის დროს, დაეჯახა გემებს „იამატო“-სა და „იტაკო“-ს და დაიღუპა. რუსების გემების მიერ დაზიანებული სატრანსპორტო გემი „სადომარუ“ გაირიყა ოკუნოშიმთან. მოიიდან იმის გადასარჩენად გავიდა გემი „ხინომარუ“.

**ნიუ-ჩუანი.** („რეიტ. საag.“). გამოქცეული ბერძნები ამბობენ, რომ იაპონელებმა დიდი ჯარი გადასხეს ნაპირზე გაიჯოუდან სამხრეთით რამდენისამე მილის სიშორეზე; 3 ივნისს დიდი ბრძოლა მოხდაო ამ ქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** ნაგასაკიდან „დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ: „იაპონელი ინჟენრები არტილერიის დახმარებით სიმაგრეებს აშენებენ პორტ-არტურთან. ყოველ ღამეს ახალ სანგრებს აშენებენ, ახალ თხრილებსა ჰთხრიან და თან-და-თან პორტ-არტურს უახლოვდებიან. რუსები ხან-და-ხან ზარბაზანს დაუშენენ ხოლმე იაპონელებს. საზღვაო ზარბაზნები დღემდე არ მოუხმარია გენ. ოკუს. მალე უმაღლეს საარტილერიო სკოლის აფიცრები, მეზღვაური აფიცრები და თითონ გენ. ოკუს შტაბი თათბირს მოახდენენ და ჯარისა და ფლოტის საერთო მოქმედებაზე მოილაპარაკებენ. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: აქ ერთი ჩინელი მოვიდა პორტ-არტურიდან და საინტერესო ამბები მოიტანა. ჩინელი ამბობს: პორტ არტურის ქარხნებში ვმუშაობდი; რუსის ცხრა დიდ გემში მხოლოდ ხუთს შეუძლიან ზღვაში გასვლა. დაზიანებულ გემების ზარბაზნები ფორტებზე გადაიტანეს და მატროსები მეციხოვნე ჯარს მიუმატეს. გემები წინად შავად ჰქონდათ შეღებილი, ეხლა-კი იაპონელების მაგალითით რუხად შეღებეს. რუსები არ უშვებენ ჩინელებს პორტ-არტურიდან, მაგრამ მაინც ბევრმა ჩინელმა მოახერხა გამოქცევა. რეიდზე და სხვა ადგილებში რუსებმა მრავალი ნაღმი ჩააწყესო. („რ. ლ.“).

ინგლისურ გაზ. „მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: პორტ-არტურთან რუსებმა ეტცეს გორიდან ვიდრე ლიაოტეშანამდე, ათის მილის მანძილზე, ახალი ფორტები (სიმაგრეები) გაამწკრივეს. ჩინელების დროს ეტცეს გორის დასავლეთით ფორტები არა ყოფილა აშენებული. ეხლა-კი, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ვიდრე ლიაოტეშანის კონცხამდე და ზღვამდე ფორტებია გამწკრივებული. გოლუბინაია ბუხტის ნაპირასაც ორი ფორტია აშენებული. შტურმის დროს იაპონიის ესკადრა ეტცეს გორის ფორტებს გოლუბინაია ბუხტიდან დაუშენს ზარბაზანს; ლიაოტეშანის მთაზე გამართულ ფორტებს ლიაოტეშანის კონცხიდან დაუშენს; ზოლოტოი გორისა და პორტ-არტურის აღმოსავლეთ მხარეს გამართულ ფორტებს გარე რეიდიდან დაუშენს ყუმბარას. ერთის სიტყვით, შტურმის დროს ადმირალ ტოგოს ესკადრა დიდ დახმარებას გაუწევს გენ. ოკუს ჯარსა. („ნ.“).

ტოკიოდან ამბავი მოვიდა ლონდონში: გენერალმა ოკუმ პორტ-არტურს ზარბაზანი დაუშინაო. იმის არმიის რ ხმებმა ულუნკის სიმაღლეები დაიჭირეს პორტ-არტურთან. ხმა დადის, გენერალ კუროკის არმია ლიაოიანს მიუახლოვდაო. ამბობენ, გაიპინგის სამხრეთით დიდი ბრძოლა მოხდაო. („რ. ს.“).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: ადმირალ ტოგოს სასებოდან ერთი კრეისერი, ოთხი დიდი ნაღმიანი გემი, ორი კანონირი გემი და ხუთი პატარა ნაღმიანი გემი გაუგზავნესო. ეს გემები დაზიანებული იყო და ეხლა შეაკეთესო. („ნ. ვ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ს დეპეშით ატყობინებენ ფუზანიდან: 25 მაისს იაპონელების ესკადრა, გაიპინგის (გაიჩჟოუ) ბუხტაში შევიდა და დაინახა, რომ გაიპინგიდან სამხრეთისაკენ რკინის გზის მატარებლით რუსის ჯარი მიდიოდა; ესკადრამ მატარებელს ზარბაზანი დაუშინა და ისევ ჩრდილოეთისაკენ გაბრუნა. ბუხტის ნაპირას, ერთს ადგილას, დიდ-ძალი რუსის ქვევითა ჯარი, კავალერია და არტილერია იდგა. იაპონიის კანონირმა გემებმა ზარბაზანი დაუშინეს რუსის პოზიციებს და მერე ზღვაში დაბრუნდნენ. („რ. ვ.“).

ადმირალმა კატაოკამ 29 მაისს ოფიციალურად მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბს: იაპონიის გემებმა 26 და 27 მაისს ტალიენვანის ბუხტაში 16 ნაღმი ააფეთქესო. ადმირალმა ტოგომ 30 მაისს მოახსენა: იაპონიის ესკადრამ ცნობა მიიღო, რუსები რკინის გზით ყოველ დღე ჯარსა ჰგზავნიან გაიპინგში (გაიჩჟოუ) და ბეჯითად ემზადებიან, რომ იაპონელებს ჯარის გადაყვანა დაუშალონ გაიპინგს ახლოო. ამიტომ კანონირი გემები „აგაკი“ და „უჩჟი“ გაიპინგს მიუახლოვდნენ და რუსის სიმაგრეებს ზარბაზანი დაუშინეს. ამ გემებმა, ეტყობა, სიმაგრეები დააზიანეს და რუსებს გაიპინგში ჯარის მოყვანა დააშლევინესო. („რ. ს.“).

ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: პორტ-არტურთან ჩაწყობილ ნაღმებს ქექა-ქუხილის დროს მეხი დაეცათ და ააფეთქაო. („რ. ლ.“).

„დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენერალ-ლეიტენანტს შტაკელბერგს თავის კორპუსში 30—40 ათასი ჯარის-კაცი ჰყავსო. („პ. ვ.“).

ინგლისის მეფის ედუარდ VII ექიმი ფრედერიკ ტრევერსი ამ ჟამად იაპონიაში იმყოფება და ჯარის სანიტარულ დაწესებულებათ ათვალიერებს. ტრევერსი, სხვათა შორის, სწერს ინგლისურ საექიმო ჟურნალში: იაპონიის წითელი ჯვარი და სხვა ამ გვარი დაწესებულებანი ბეჯითად ზრუნავენ ჯარისკაცებისა და აფიცრების ჯანმთელობისათვის;

იაპონიის სასანიტარო რაზმები მშვენივრადაა მოწყობილი, მეტად სწრაფად მოძრაობენ ბრძოლის ველზე და არც ისე ძვირად ჯდება, როგორც ევროპაში. წითელი ჯვარი განსაკუთრებით კერძო ხალხის შეწირულებითაა დაფუძნებული და მთელ იაპონიაში ყველგან განყოფილება აქვს დაარსებული. წითელმა ჯვარმა ამ ომის დროს 3 ათასი და მოწყალებისა გაუგზავნა იაპონიის არმიას და 2 ათასი სასანიტარო ზედამხედველი. მოწყალების დანი იაპონიაში მუშაობენ საავადმყოფოებში, ომის ასპარეზზე-კი მხოლოდ სანიტარები მოქმედებენო. („რ.“).

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, ბალტიის ესკადრის პირველი დივიზია კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის უფროსობით ივლისში წავა შორეულ აღმოსავლეთს, მეორე დივიზიას-კი კონტრ-ადმირალი ფალკერზამი სექტემბერში წაიყვანსო. („პ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდან: იაპონელებმა ქალ. დალნიში თავიანთ ეროვნულ ბაირაღის გარდა, ჩინეთის ბაირაღიც გაშალესო. („ნ. ვ.“).

ხმა დადის, ვითომ ინგლისი და ამერიკა რუსეთისა და იაპონიის შერიგებას ცდილობენო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონური გაზეთები სწერენ, იაპონელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ; სანამ ფულის ხსენება მთლად არ გაუწყდებათ, არავის დახმარებასა და შუამავლობას არ დასთანხმდებიანო. („რ. ს.“).

ხაიჩენის სამხრეთით, რკინის გზაზე. 27 მაისს, საღამოს, 10 ყაზახს 50 ხუნხუზთან შეტაკება მოუვიდა; შეტაკების დროს ერთი ყაზახი მოჰკლეს, ორი დასჭრეს; 15 ხუნხუზი მოჰკლეს და დასჭრეს და რვა დაიჭირეს.(„რ.“).

**საუბარი იაპონელ დიპლომატთან.** ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტს ლონდონში იაპონელი დიპლომატი ბარონი სუემასუ უნახავს და ეხლანდელ ომზე უსაუბრნია. იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეს უთქვამს: ჩვენი საქმე სამხედრო მოქმედების ასპარეზზე საკმაოდ კარგად მიდის, ძლიერ მამაც და მედგარ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი იაპონია პატივისცემით იხსენიებს რუსის აფიცრებსა და სალდათებს. ამ ომის დროს რუსებმა საკვირველი მამაცობა და მედგრობა გამოიჩინეს. იაპონელები საფრანგეთის ხალხივით რაინდული ხალხია და დიდად აფასებს რუსის ჯარის სიმამაცეს. გენ. კუროპატკინსაც კარგად იცნობს ჩვენი ხალხი და დიდ პატივსა სცემს, როგორც კაცსა და როგორც სარდალს. ამისთანა სარდალი ყველა ევროპიელ ჯარს დაამშვენებდა, იაპონიის საელჩოს ლონდონში არაფერი ცნობა არ მოჰსვლია პორტ-არტურიდან, მაგრამ ყოველ წამს-კი მოელიან. გაზეთებიდან ვიცით, რომ ჩვენი ჯარი ხმელეთიდან და ფლოტი ზღვიდან ერთსა და იმავე დროს დაეცემიან პორტ-არტურს. მგონია, პორტ-არტურთან ჩვენ 100 ათასი ჯარის-კაცი გვეყოლება, რუსებს-კი პორტ-არტურში 20 ათას კაცი ეყოლებათ. მგონია, რომ ჩვენ ჯარს პორტ-არტურის შტურმის დროს დიდი ზარალი მოუვა...

— პორტ-არტურის აღების შემდეგ რას იზამს თქვენი ჯარი, რუსის უმთავრეს ჯარს დაეცემა, თუ არა?

— საიდან იცით, რომ ჩვენი ჯარი ეხლავე, პორტ-არტურის აღებამდეც, იერიშს არ მიიტანს რუსის უმთავრეს ჯარზე?

— მერე რაღასა იქმთ, ხარბინისკენ გაილაშქრებთ?

— ეგ აღარ ვიცი. ლიაოიანიდან მეტად შორსაა ხარბინამდე.

— იქნება მუკდენში გამაგრდეთ?

— არა, ჩვენი ჯარი მუკდენის ჩრდილოეთით დაიჭერს მაგარ სტრატეგიულ პოზიციებს.

— მართალია, რომ იაპონელები ვლადივოსტოკსაც ალყას შემოარტყამენო?

— იქნება, ეგეც მართალი იყოს.

— ვსთქვათ, ყველგან გაიმარჯვეთ,—ამდენ პოზიციაზე გამაგრებასა, რუსის ჯართან ბრძოლასა და ასეთ დიდ მანძილზე გაფანტულ ჯარის კვებას რანაირად მოახერხებთ? რის იმედი გაქვთ?

— ყველა ეგ წინადვე მოვიფიქრეთ და მოვისაზრეთ, ომისათვის რომ ვემზადებოდით. („ბ. ვ.“).

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **რუსეთ-იაპონიის ომის** გამო მთავრობამ ჩერნომორის გუბერნიაში გზების შესაკეთებლად გადადებული თანხა 100,000 მანეთით შეამცირა. შეამცირა აგრეთვე 250,000 მანეთით ის თანხა, რომელიც გადადებული იყო ბათუმისა, არდაგანისა, კახეთისა ბ ავარიის გზა-ტკეცილების შესაკეთებლად.

◆ სახალხო სეირნობა და ბაზარი **„ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების“** სასარგებლოდ ქუთაისში ამ ცოტა ხანში აღარ გაიმართება სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო. საქმის მეთაურთ გადაუწყვეტიათ, სეირნობა გამართონ სექტემბერში.

◆ ტფილისის ბავშთათვის მზრუნველ საზოგადოებას განუზრახავს **საბავშო ბაღის** გამართვა. გუშინ საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაუთმოს ამისთვის სამუდამოდ ადგილი ვერაზე, მტკვრის პირად, იქ, სადაც ვერე ერთვის მტკვარს. საზოგადოება ამ ადგილზე ამოაშენებს დიდს კედელს, რომ მტკვარმა ადგილი არ წალეკოს, გააშენებს ბაღს, გამართავს საბავშო ბიბლიოთეკას, საბავშო თეატრს და სხვა მოწყობილებებს. თუ ვინიცობაა შესწყდა საზოგადოების მოქმედება, ეს ადგილი მთელის მოწყობილებით გადავა ქალაქის ხელში.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, წელს გორის მაზრაში **შემოდგომის ნათესი** ყოფილა 71,930 დესეტინა; აქედან გლეხთა ნათესობაა 50,400 დესეტინა, კერძო მემამულეთა—21,530 დესეტინა.

◆ 17 და 18 მაისს, როგორც გვატყობინებენ, ჯავახეთში კიდევ **მოსულა თოვლი.** თოვლს მოჰყოლია ყინვები და ისე დაუზარალებია ნათესობა, რომ შიმშილი თითქმის აუცილებელია. ამას გარდა, ორს სოფელში საქონლის ჭირიც გაჩენილა, რის გამო არავის ნებას არ აძლევენ, მთაში საქონელი გარეკონ.

◆ **სიღნაღის მაზრაში,** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, 1903 წელს 105.650 სული მცხოვრები ყოფილა ორივე სქესისა. ქართველი იყო—85,411, სომეხი—13,098, თათარი—3,592, რუსი—2,666, სექტანტი—858, პოლონელი—25. მთელ მაზრაში 41 სკოლა ყოფილა, სადაც 1631 ვაჟსა და 1056 ქალს უსწავლია. აქედან ქართველი ყოფილა—1914, სომეხი—498, რუსი—275. და სხვა. ამ სკოლებზე დახარჯულა 25,358 მ. და 58 კ. გლეხობისა და კერძო წყაროებიდან—16,178 მ. 58 კ. სახნავი მიწა ჰქონიათ 58,389 დესეტინა. მაზრაში 213 ქარხანა ყოფილა, რომელშიაც უმუშავნია 465 მუშას და 141,510 მანეთის ღირებული მასალა და საქონელი დაუმზადებიათ. სამღვდელოებასა, ეკკლესიის და სკოლების აგებასა და შეკეთებაზე, სასოფლო სამართებლოების შენახვასა, გზების შეკეთებასა და სხვა საქმეებზე გლეხებს დაუხარჯავთ—32,777 მან. 44 კ. სათადარიგო თანხა უდრის—50,709 მან. 70 კაპ. ცეცხლს 16775 მანეთის ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის, სეტყვას—91,430 მანეთისა.

◆ ტფილისის **სამასწავლებლო ინსტიტუტი** წელს დაასრულა 18 კაცმა. ქართული ოთხია: ბახტაძე, გოგუაძე, ჯომარჯიძე და კენკაძე.

◆ ქალაქის ინჟინერმა კოგნოვიცკიმ შეატყობინა გამგეობას, რომ სამხედრო უწყებამ ნავთლუხში, სამხედრო სამკურნალოს მახლობლად, **მიითვისა კარგა ბლომა ადგილი ქალაქისაო.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეატყობინოს სამხედრო უწყებას, რომ ეს ადგილი ქალაქისაა, ამიტომ ისევ ქალაქს დაუბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამგეობა საჩივარს აღძრავს.

◆ ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი წელს დაასრულა 18 ყმაწვილმა.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორისა, რომელმაც აცნობა გამგეობას, რომ პოლიციის 1-ლ და მე-2 ნაწილში 27 მედუქნეს ქალაქის გამგეობის ნება-დაურთველად გაუღია სავაჭრო სახლები. გამგეობა შეეკითხა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, რატომ აგენტები ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმესაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის საყასბოში საქონელი დაიკლას ხოლმე 4 საათის ნაცვლად ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეიძინოს ავლაბარში მირზოევის ადგილი (400 ოთხ-კუთ. საჟენი). ამ ადგილზე უნდა აშენონ სახლი პუშკინის სახელობის ავლაბრის 1 სკოლისა.

◆ სადგურ კაკაბეთთან (ტფილისის მაზრა) თიანეთის მაზრის მცხოვრებ სიმონ და გაბო წვილაშვილების ცხვარს ვიღაც შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველები დასცემიან, ატეხიათ თოფის სროლა და ათამდის ცხვარი მოუკლავთ.

◆ ტფილისის მაზრაში მაისში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. დაგით-ხაჩინში არშაკ ნერსესოვი ბუხრიდან ჩამძვრალა თავის რძლის, სონა ნერსესოვის, ოთახში რაღაც მიზნით; რძალს შესმენია ხმაურობა, წამომხტარა, აუნთია ლამფა და, დაუნახავს რა ჩამოკიდებულ კაცის ფეხები ბუხარში, დაუწყია ჯერ ხანჯლით კეპნა, მაგრამ რადესაც არშაკა ბუხრიდან გამომძვრალა, სონა ნერსესოვს ხანჯლითვე სასიკვდილოდ დაუკრია თავში; 2. „ეპინ-დუსში“ ყარაჯალთან უპონიათ მოკლულ კაცის გვამი „სოფ.“ კოსალოს მცხოვრების ალია-ფაშარი ოღლისა. გვამს რამდენიმე ჭრილობა აჩნდა ხანჯლის; 3. სოფ. კონსტანტინოვსკში მცხოვრებ ტარანცევს თავის ცოლისთვის ძილის დროს ცულით თავი გაუპია და როდესაც თითონაც თავს იკლავდა, დედის კვირილზე ხალხი შეყრილა და ქმარი სიკვდილს გადარჩენილა.

◆ 4 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ტფილისის ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწე გ. ზ. ქანანოვი ვანქის ქუჩის მოსახვევში დასჭრა სახლის პატრონის შვილმა მარტიროზოვმა. მარტიროზოვმა ამ ორი წლის წინად გაათავა გიმნაზიის ოთხი კლასი და რადგან სულით ავადმყოფობა შეამჩნიეს, შინ დასტოვეს და არა საქმეში არ მისცეს. მარტიროზოვი მოსაკლავად ხშირად მშობლებზედაც იწევდა თურმე ბ-ნ ქანანოვი ბევრჯელ ჩარეულა და გაუშველებია. ამის გამო შესაძლებელია, მარტიროზოვმა ჯავრი ამოყრა მოისურვა. მარტიროზოვი ხანჯლით ჩასაფრებია ქანანოვს და როცა იგი გამოსულა ფეხი ადგილიდან, მიპარვია უკანიდან და თავში დაუკრავს ხანჯალი დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ექიმების სიტყვით, ჭრილობა საშიში არ არის. სულით ავადმყოფი მარტიროზოვი საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგემ გუშინ-წინ 2000 მან. წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას იმ 8,414 მანეთში, რომელიც ქალაქის ვალადა აქვს ლომბარდს.

◆ **ᲐᲚᲡᲢᲐᲤᲐ.** 3 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მეისრემ ელიკაშვილმა ხანჯლით დასჭრა მეორე მეისრე მახარაშვილი. დაჭრილი ტფილისის სავადმყოფოში გამოგზავნეს.

◆ **ᲮᲐᲨᲣᲠᲘ.** 3 ივნისს, ნაშუადღევის 2½ საათზე სალომე კასაძე ლიანდაგს უნდა გადასულიყო, ამ დროს ვაგონებმა გამოიარეს და ქვეშ მოჰყვა. დაშავებული სურამის სამხედრო სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

---

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 225.** შინაარსი: „დამნაშავე“ (შემდეგი), მოთხრობა ნინო ნაკაშიძისა; სურათები: „დახმარება გასაჭირში“, სურათი გ. გაუცესი, „შუადღე“, სურათი შერინის, იაპონელი სტუდენტი, მოქიდავე იაპონელები, დახატული ტანი იაპონელისა და კარიკატურები.

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ ოდესის სასამართლოში გაურჩევიათ საქმე ერთის ახალგაზდა ებრაელის, გვარა როზენბერგის, შესახებ, რომელსაც ქურდობ ჰბრალდებოდა. საყურადღებოა ეს საქმე ი არა ჩვეულებრივი „პოზიციით“, რომელი ეჭირა დამნაშავის დამცველს, ვექილს სტობორ-მარხოცკის. დამცველმა მიაქცია ნაფი მსაჯულთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ დამნაშავე ებრაელია, ე. ი. ისეთ მოდგმ

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

კიდევ სოფელზე.—ოზურგეთელი პედაგოგის საქმე.—ჩვენებური სკოლების ცხოვრებიდან.—საყურადღებო განმარტება.

სოცარი ამბები ხდება დღეს ჩვენს პროვინციებში, ამბები სასიხარულო ჩვენთვის; მაგრამ ტფილისელ მცხოვრებისათვის ყველაფერი გაუგებარი რჩება. კორესპონდენტები ბევრს რასმე სტოვებენ უყურადღებოდ, ხშირად ისეთს რასმე, რაც შეიძლება ყველაზე უფრო საინტერესოა. კორესპონდენციები სულ ერთ რიგად იწერება: სულ ქურდობას, ავაზაკობას, ამინდის ამბებს და სხვა ამგვარებს მოგვითხრობენ და იშვიათად ჩაიხედავენ ხალხის გულში და არ გვაცნობებენ, რაც ხდება იქ. მე სახეში მაქვს ის გონებრივი და ზნეობრივი ევოლიუცია, რომელიც მოხდა ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ქართულ სოფელში. ეს ცვლილება მეტად აშკარაა დასავლეთ საქართველოში, იქ ამას ყველა ამჩნევს და არც არავის აკვირვებს. მაგრამ უფრო სასიხარულო ისაა, რომ ბოლო დროს ქართლ-კახეთის სოფლებმაც კი გამოიღვიძა. პირადად ვიყავი ქართლის სოფლებში და გლეხებისაგან გავიგონე ისეთი ფხიზელი აზრები, რომელსაც ვერაფერ შემთხვევაში ვერ გააგონებდა კაცი ამ რამდენისამე წლის წინ.

[illegible]

ბით მეკითხებოდნენ „იაპონიის“ ამბებს. ვინ იცის, რას არ მომიყვნენ ომის გამო, რა ზღაპრულ და ანეგდოტურ ამბებს.

მაგრამ და მრავალჯერ მაგრამ, მკითხველმა არ იფიქროს, რომ ჩვენი სოფელი უკვე კარგად მოწყობილია, ბედნიერია და აღარა ეჭირვება-რა. პირიქით, თუ რამ ეჭირვებოდა სოფელს, ეხლა ეჭირვება უფრო, რადგან დაიწყო ავის და კარგის შეგნება და აფასებს ყოველს კულტურულს დაწესებულებას. ჩვენი დღევანდელი სოფლის საქმეები აწეწილ-დაწეწილია, არ არის გაწესრიგებული ადგილ-მამულის საქმეები, სწავლა-განათლება, გზები, მიმოსვლა. ყველაფერი ეს არ ახალია, ძველია სოფლის ცხოვრებაში. ხოლო ამდენ ხანს ეს თითქოს არ არსებობდა გლეხისთვის, იგი ნაკლებად გრძნობდა სოფლის ნაკლულევანებას და თუ გრძნობდა, ცოტათი, ხმას ვერ იღებდა. დღეს კი გლეხმა თვალები გაახილა, ქალაქი ნახა, აქეთ წავიდა, იქით წამოვიდა, წიგნშიც ჩაიხედა და დაინახა, რომ ყველაფერი ასე არაა მოწყობილი ამ კურთხეულ დედა-მიწაზე, როგორც უნდა იყოს; რომ მის გარშემო ათასნაირი სიბნელეა და სიბოროტე.

ვინ გაუწევს სოფელს ამ საქმეში დახმარებას, ვინ იქნება მისი ნამდვილი მეგობარი? რასაკვირველია, წიგნი, სკოლა და ინტელიგენცია.

**

[illegible]

და ქუჩაში ტყვილა-უბრალოდ ბავშვის გალახვა და ხელოსან ებრაელის შეურაცხყოფა. 1902 წ. ივლისში ბაზრის ტროტუარზე მაღაზიის წინ ბავშვი ბაბილოძე თავზაღუ'უდი მჯდარა, რადგან ავად ყოფილა. ბავშვს გაუფურთხებია, იმ დროს გაუვლია ბ. მ—კის, რომელიც ბავშვს ვერ დაუნახავს, და ფურთხი შარვლის ტოტზე მოხვედრია. ბავშვი საჩქაროდ წამომდგარა, ბოდიში მოუხდია და მოუნდომებია გასვრილი შარვლის გაწმენდა. მაგრამ სცემია მ—კი და მწარედ გაულახავს ავადმყოფი ბავშვი. ამავე ვაჟბატონს რიდისიც გაკეთება შეუკვეთნია ებრაელ ხელოსნისათვის და რადგან ხელოსან ცოტა დროზე ვერ მოუსწრია გაკეთება, მისდგომია ბ. მ—კი და შუა ბაზარში უშვერის სიტყვებით გაულანძღავს და გასალახავადაც მიუწევია.

სასამართლომ გადაუწყვიტა იმას ათი დღით საპყრობილეში დაპატიმრება.

საინტერესოა, რომ ღირსეულს მ—კის ახირებული დამცველი აღმოჩენია სასამართლოში —ვინმე კერძო ვექილი ბ. ე—ლი, რომელმაც ბევრი ილაპარაკა აქეთური-იქითური, ხოლო ბრალდებულის გასამართლებლად სხვა ვერაფერი საბუთი დაასახელა იმის მეტი, რომ ბავშვი ბაბილოძე ერთი უბრალო გლეხის შვილია და მისი გალახვა რა უნდა იყოსო. ჯერ გლეხი რაა, განა ადამიანია, და მერე მისი შვილი რაღა იქნებაო [illegible] იმის გალახვისათვის როგორ უნდა დაისაჯოს [illegible] არის ბ. მ—კით!

„მე მიკვირსო, —აღამაღლა ხმა პატეტიურა ახირებულმა ვექილმა თავის შესანიშნავის სიტყ ბოლოში: —რომ ასეთის უმნიშვნელო საქმისათვ შევაწუხეთ ჩემი კლიენტი ბ. მ—კი, შეურა ხყოფა მივაყენეთ და მოვიწვიეთ სასამართლოში! ყოვლად სამართლიანო მოსამართლევ, მივმართ თქვენს მართლმსაჯულებას და გთხოვთ დაუყოვნებლივ გაამართლოთ პატივცემული და პატივსა ცემი, მთელის ოზურგეთის საყვარელი, სახე ლოვანი მოღვაწე ბ. მ—კი! მე იმედ მაქვს თქვენის მართლმსაჯულებისა!“ ასე დაამთა რა სიტყვა კერძო ვექილმა.

როგორც ზევითა ვსთქვით, მართლ-მსაჯულე ბამაც მიუსაჯა მის კლიენტს საპყრობილე!

**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მოსწა ლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე ერთმა ორატორმა შენიშნა კომიტეტს, რომ მოს წავლეთა რიცხვში (ტფ. სათავად-აზნ. სკოლაში) იმერლები დიდს ნაწილს შეადგენენ—ტფილისის გუბერნიიდან 568 შაგირდია, ქუთაისიდან 10 იო. მე ეს შენიშვნა მომეწონა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი რამე სეპარატისტულ მოადგენდეს, მით უმეტეს, რომ თვითონ იმე ლი ვარ. არა, მოსაწონად მიმაჩნია შენიშვნა მხრივ, რომ მეტი დახმარება, მეტი შეღავა მეტის ხელის შემწყობი პირობაა საჭირო ტ ლისის გუბერნიის ბავშვებისათვის. ქუთაისის

ეკუთვნის, რომელიც წარმოადგენს თავის კერძოობის, ანგარების, ზნე-დაცემულობის, ყოველნაირ სიბილწის წყაროს, მაშასადამე დამნაშავე ებრაელის განსამართლებაში მსაჯულებმა განსაკუთრებული საზომი უნდა იხმარონ, რადგან ბოროტება ბუნებით თანდაყოლილი თვისებაა ებრაელთა, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი ებრაელი. ებრაელისათვის ზნეობრივი სიწმინდე და ადამიანობა მიუწდომელია და არ უნდა დავსაჯოთ იმისათვის, რაც მის სულიერ ძალ-ღონეს აღემატება. ბრმა, ხედვის ურჩი ვექილი დამნაშავე ებრაელის დამცველად კი არ გამოსულა, არამედ მთელ ებრაელ ხალხის ბრალმდებლად. მან თავისი მოვალეობა შებღალა და ახალგაზდა დამნაშავე ებრაელ ერის მიმართ პირად, თვალ-ახვეულ მძულვარების „გზად და ხიდად“ გამოიყენა. სასამართლოს თავმჯდომარე იძულებული გახდა ვექილის ენა-წყლიანობა შეეჩერებინა და ეთქვა: უფლება არა გაქვთ აქ მთელი ერის პატიოსნებას შეეხოთ, გთხოვთ მხოლოდ თქვენ საგანზე ილაპარაკოთო.

◆ მოსკოვის ვაჭრებს ერთი მათთვის სამარცხვინო შუამდგომლობა აღუძრავთ ქალაქის საბჭოში: ქუჩებში ფეხზე მოვაჭრეთ უჩივიან,—ვაჭრობა აუკრძალეთ, რადგან საზარალოა ჩვენთვისაო. ქონ-შემოკრებილი ვაჭრები ცხადად, წარბ-შეურხევლად ითხოვენ: ღარიბ-ღატაკ წვრილ მოვაჭრეთ პირიდან უკანასკნელი ლუკმა ამოაცალეთ, ჩვენ ოქროს ჯამებში ჩაგვიგდეთ და ესეც ჩვენ კერძად გავიხადეთო.

◆ პეტერბურგში მომავალ სამოსწავლო წლის ორი საყურადღებო რეფორმა უნდა შემოიღონ: ყველა სასწავლებლებში, სადაც სწავლის ფასი რამდენსამე მანეთს შეადგენს, მოწაფეები განთავისუფლებულნი იქმნებიან ამ გადასახადისაგან. გარდა ამისა ქალაქის სასწავლებლებში ყველა მსურველთ მიიღებენ.

◆ გზათა სამინისტრომ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ 1903 წელს რამდენი საჩივარი იყო ჩაწერილი ეგრედ წოდებულ „საჩივრის წიგნებში“, რომელნიც რკინის გზის ყოველ სადგურზე ინახებიან. 1903 წლის განმავლობაში რუსეთის ყველა რკინის გზებზე 6,998 საჩივარი ჩაუწერიათ მგზავრებს; ამ რიცხვიდან ერთი მესამედი, ე. ი. 2,283 საჩივარი შეეხება რკინის გზის მოხელეების უწესო საქციელსა და უზრდელობას.

◆ გაზ. „რუსკ. ვედომ.“-ში მოთხრობილია იმიერ-კასპიის ოლქში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი. ყაზახთა ბრიგადის უფროსს გენერალ-მაიორ კოვალიოვს მიუწვევია თავისთან ადგილობრივი ექიმი ბ. ზ—ი, შეუთვლია, ავად ვარ, გთხოვთ მნახოთო. ექიმი მისულა და, ლაპარაკი რომ დაუწყია კოვალიოვთან, უკანასკნელს ბრძანება მიუცია ყაზახებისათვის, დაეჭირათ და ეცემათ ექიმისათვის. რამდენიმე ყაზახი მისცვივნია საბრალო ექიმს, იატაკზე გაუწვენიათ და მწარედ უცემიათ წკეპლებით მთელ სხეულზე. ისე მსწრაფლ მომხდარა ყველა ეს, რომ ექიმის მხრივ წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო.

შეიტყეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი იმიერ-კასპიის ოლქის ექიმებმა, შეიკრიბნენ, დასწერეს და გაუგზავნეს გალახულ ამხანაგს შემდეგი თანაგრძნობის წერილი: „დიდის მწუხარებით შევიტყეთ, რომ თქვენ მოვალეობის ასრულების დროს გამხდარხართ მსხვერპლი ბრიყვულ, სულის ამღვრევ ძალმომრეობისა. ვერაგულად, ფარულად შებღალეს ადამიანური გრძნობა უმწეო კაცისა, შებღალეს თქვენი პიროვნება იმ დროს, როცა სრულის ნდობით ეწვიეთ თქვენ შეურაცხმყოფელს მოვალეობის ასასრულებლად. ექიმთა საზოგადოება გიცხადებთ მხურვალე ზნეობრივ თანაგრძნობას იმ უბედურების გამო, რომელიც თქვენ შეგემთხვათ, და მოუთმენლად ელის სასამართლოში თქვენი საქმის გარჩევას“.

ამგვარივე თანაგრძნობის წერილი მიიღო ექიმმა ზ—მ ბაქოს ექიმებისაგანაც.

პეტერბურგის ექიმთა საზოგადოებამაც გაუგზავნა ბ. ზ—ს მხურვალე თანაგრძნობით სავსე წერილი, რომელშიაც ნათქვამია, როგორ აღელვა ისინი გენერალ კოვალიოვის მხეცურმა საქციელმა.

გაგზავნილ წერილის შინაარსი სამკურნალო ჟურნალ „რუსკი ვრაჩ“-შია დაბეჭდილი, რომლის რედაქციამ მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ ექიმთა სხვა საზოგადოებანიც გამოუცხადებენ მხურვალე თანაგრძნობას მხეცურად, უდანაშაულოდ შეურაცხყოფილ ამხანაგს და ზიზღს მის შეურაცხმყოფელს, რომელსაც მაღალი სამხედრო ხარისხი ვერ იხსნის ჯეროვან სასჯელისაგან.

# სასამართლო

3 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე თელავის მაზრის, სოფელ ურიათუბნის გლეხების ბაგრატ კანაშვილისა და გიორგი სოლომონიშვილისა და სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ სოიუნ ისმაილ-ოღლისა და ნიაზ-ოღლის, რომელთაც ფოსტაზე თავდასხმა და გაძარცვა ჰბრალდებოდათ. ეს ამბავი მოხდა 17 მაისს 1903 წელს თელავის-მაზრაში აკურასა და ვაჩნაძიანს. როგორც გამოძიებით აღმოჩენილა, ბრალდებულთ წაუღიათ მხოლოდ 66 მან. ქურდებს თოფი გაუსროლიათ, ტყვია მოჰხვედრია ცხენს და იქვე მომკვდარა. ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას ეს საქმე განუხილავს 25 თებერვალს თელავში. ბრალდებული გიორგი სოლომონიშვილი გაუმართლებია, ხოლო დანარჩენნი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ბაგრატ კანაშვილისა და სოიუნ ისმალ-ოღლისათვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: კანაშვილს 7 წლით, ხოლო სოიუნს-ოღლისა—4 წლითა და 4 თვით; ნიაზ-ნამაზ-ოღლის—ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $5\frac{1}{2}$ წლით გაგზავნა. პალატაში ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი ლ. ს. სტალინსკი. პალატამ ბრალდებულნი ყველანი გაამართლა.

II

4 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოლოლაკში მცხოვრებ ექიმ მიკირტიჩიანცისა, რომელსაც ნაფიცი ვექილი კარაბეგოვი უჩიოდა. მიკირტიჩიანცი თავის საავადმყოფოს მაზუტით ათბობს, ცუდი სუნი და კომლი დგება, რის გამო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია მთელი ეს კუთხე. მომრიგებელმა მოსამართლემ მიკირტიჩიანცს ამას წინად გადაუწყვიტა ასი მანეთით დაჯარიმება. კარაბეგოვმა მოსამართლეს განაჩენი განასაჩივრა ოლქის სასამართლოში და მოითხოვა, უფრო მეტად დაესაჯათ ექიმი. სასამართლომ უცვლელად დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი.

# ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 5 ივნისი

**პეტერბურგი.** 4 ივნისს ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოსულა.

**ტოკიო.** („რეიტ. სააგ.“). კოკურას მოვიდა გემი „იზემარუ“ სატრანსპორტო გემ „სადომარუ“-დან გადარჩენილ ჯარის კაცებით. მართლდება ის ხმა, რომ „სადომარუ“ არ ჩაძირულა, იგი გემმა „ხინომარუ“ მ წაიყვანა ბუქსირით.—სასებოს მახლობლად მდებარე საპოლიციო სადგურ საგოდან იუწყებიან, რომ ზღვიდან ზარბაზნების გრიალი ისმის. ჰფიქრობენ, იაპონიისა და რუსეთის ესკადრები ერთმანეთს შეხვდნენ და იბრძვიანო.

**გლაზგო.** („რეიტ. სააგ.“). გემი „კირკდელლი“ (წყალ რწყვით 1873 ტონნა) იაპონელებს მიჰყიდეს 21,500 გირვანქა სტერლინგად.

**მუკდენი.** 4 ივნისს მოვიდა დიდი მთავრინას მარიამ პავლეს ასულის სახელობის სასანიტარო მატარებელი და მოიყვანა პირველ ივნისს ვაფანგოუსთან დაჭრილი 10 აფიცერი და 464 ჯარის-კაცი. დაჭრილები მისის უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის წითელი ჯვრის საავადმყოფოსა და მუკდენის სამხედრო საავადმყოფოში დააწვინეს. ამ მატარებლის შემდეგ წავიდა ჩრდილოეთისკენ დიდი მთავრინას ანასტასია ნიკოლოზის ასულის სასანიტარო მატარებელი დაჭრილ 20 აფიცრით და 170 სალდათით.

### 4 ივნისი

**ორიოლი.** როცა მათი უმაღლესობანი ორიოლში ბრძანდებოდნენ, შესრულდა 10 წელიწადი მათ დაქორწინების შემდეგ. ბევრი მისალოცი დეპეშა მოუვიდათ.

**ბაქო.** მოვიდა ბუხარის ემირი და ნავთ-სადგურში მიეგებნენ ქალაქის წარმომადგენელნი და მოხელეები. ემირი ტაგიევის სახლში ჩამოხტა, შემდეგ კი საგანგებო მატარებლით პიატიგორსკს წავიდა.

**სანტ-იაგო.** კუნძულ კუბაზე გრიგალი მძვინვარებდა; მოკლულია 100 კაცი.

**სოფია** (ოპოზიც. წრეებ.). უარჰყოფენ სტამბოლიდან მოსულ ცნობებს მაკედონიის კომიტეტების მზადების შესახებ. „ნოვო ვეკ“-მა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც გადაჭრით უარჰყოფს ხმებს, ვითომ სალონიკის ახლოს რკინის გზაზე აფეთქება ბოლგარიაში ცხოვრებ მაკედონელთ მოეწყოთ. სოფიიდან სალონიკში ფოსტით გაგზავნილმა ნივთებმა მიაღწიეს დანიშნულ ადგილს.—ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მიწის ძვრის გამო რილის მონასტერში მომხდარი ზარალი 50 ათასი ფრანკიაო. ამ დღეებში კიდევ მსუბუქად იძრა მიწა.

**სოფია.** („კორ. ბიურო“). რადგან განუწყვეტლივ ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ ოსმალელ ყაჩაღთა ბრბოები მხეცურად ექცევიან დაბრუნებულ გადახვეწილთ, ოსმალეთის მოხელეები არაფერ ზომებს არ ხმარობენ ამ ძალმომრეობის მოსასპობად, ბოლგარიის მთავრობა იძულებული შეიქმნა, პორტისათვის შესაფერის წინადადებით მიემართნა.

**ადესსა.** ადესსის სამოსამართლო პალატამ განიხილა დავა 16 მილიონ მანეთის შესახებ კერჩის სამეტალურგო ქარხნის საზოგადოებისა და ბრიანსკის ქარხნისაგან გამოცხადებული პარიზის „სოსიეტე ჟენერალის“ წინააღმდეგ, დააკმაყოფილა კერჩის საზოგადოების რწმუნებული და გააუქმა კერჩის ქარხნების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

**კრემენჩუგი.** დაიწვა რეზნიკოვის წისქვილი. დაიღუპა 1 მუშ. ზარალი 800 ათასი მანეთია.

**ბელგრადი** („კორრ. ბიურო“.). ნენადოვიჩი ცეტინიეში წავიდა მთავარ ნიკოლოზისათვის ორდენის გადასაცემად..

### 5 ივნისი

**ჰელსინგფორსი.** 3 ივნისს გენერალ-ადიუტანტი ბობრიკოვი მოვიდა ფეხით დილის 11 საათზე სენატის შენობასთან. გენერალ-გუბერნატორმა დაითხოვა მხლებელნი, მარტო შევიდა ვესტიბულში და ავიდა კიბეზე. შუა სართულის, კიბის თავზე გენერალ-გუბერნატორს ესროლეს სამჯერ რევოლვერი. ერთმა ტყვიამ გაუკაწრა მკერდი, რადგან ტყვია მოხვდა ვლადიმირის ორდენს და შეჩერდა, მეორემ საშიშრად დაუზიანა მუცელი და მესამემ ოდნავ გაუკაწრა კისერი. სროლის ხმაზე მივარდა მისაშველებლად სენატის დარაჯი. დამნაშავემ ორის სროლით მოიკლა თავი. თუმცა გენერალ-გუბერნატორი ძლიერ იყო დაჭრილი, მაგრამ მაინც მარტო შევიდა სხდომის დარბაზში და სენატორების კითხვებზე ამშვიდებდა იმათ. ტანისამოსზე გადმონადენ სისხლზე შეატყეს სენატორებმა, რომ გენერალ-გუბერნატორი დაჭრილია. პირველად ჭრილობები შეუხვია იმ წამსვე გამოწვეულმა სამხედრო ექიმმა. როცა გენერალ-გუბერნატორი გადაიყვანეს თავის სახლში, მოწვეულმა პროფესორებმა საჭიროდ დაინახეს ოპერაციის გაკეთება კლინიკაში. სრულ გრძნობაზე მყოფი გენერალი იძლეოდა განკარგულებებს და ეზიარა. პირველ საათზე გენერალ-გუბერნატორი საკაცით გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც დაუყოვნებლივ გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც გაგრძელდა 55 წუთს, გამოაცალეს წვრილ ნაწლავების დაშავებული ადგილი. სისხლის დაკარგვის გამო გულის მოძრაობა თანდათან დასუსტდა და ავადმყოფი უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. შუაღამის 1 საათსა და 7 წუთზე გენერალ-გუბერნატორი წყნარად მიიცვალა. მკვლელი სამოსწავლო უწყების მთავარ გამგეობის მოხელეა ევგენი შაუმანი, შვილი სენატორის შაუმანისა, რომელიც 1900 წელს იქმნა დათხოვნილი. გამოძიებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. თანამოზიარე ამ საქმეში არავინ აღმოჩნდა. მცხოვრებლები დამშვიდებულნი არიან.

**სტამბოლი** („კორეს. ბიურო“). მუშში გაანადგურეს და გაძარცვეს სომხის 31 დუქანი. მუშში უსახსროდ არის 4000-მდე გადმოხვეწილი სომეხი. მხოლოდ საფრანგეთის კონსულის ჩარევამ გადაარჩინა სომხები ამოჟლეტისაგან. ქალაქის მიდამოებსა და მუშის სანჯაკში განაგრძობენ სომხების ხოცვას. პატრიარქმა ორმანიანმა პროტესტი განაცხადა.

**სტამბოლი.** ბითლისის ვალი არწმუნებს, რომ სასუნის ოლქში ჯარმა მხოლოდ 200 სომეხი რევოლიუციონერი გასწყვიტაო.—მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა ბითლისში საქმეთა მდგომარეობის შესახებ. ახლო მომავალში სამსახურიდან უნდა გადააყენონ ბითლისის ვილაიეტის გუბერნატორი.—არწმუნებიან, რომ სულთანის სიძე ქემალ-ფაშა უკვე გაასამართლეს და არაბეთში გაგზავნეს, ქალაქ ტაიფს.

**პეტერბურგი.** 4 ივნისს უმაღლესის თანა დასწრებით, გაიმართა გატჩინოში პარადი ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის კირასირთა პოლკისა. აკურთხეს დროშა პოლკის დაარსებიდან 200 წლის შესრულების გამო ბოძებული.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, ფლოტის იუნკრებს, რომელთაც მიჩმანის ხარისხს ვერ მიაღწიეს, უნდა მიეცესთ უფლება დაიჭირონ ეგზამენი საზღვაო სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკის ხარისხის მისაღებად.

**კოვნო.** ფილკომირში საშინელი ცეცხლი გაჩნდა. გადაიწვა ქალაქის ორი მესამედი, 700-მდე სახლი. გუბერნატორმა გაჰგზავნა აქიდან ცეცხლის მქრობელ რაზმის ერთი ნაწილი და ზომები მიიღო ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად, ქალაქის საბჭომ პირველ საჭიროებისათვის 1.700 მან. დაურიგა დაზარალებულთ. ზარალი მილიონამდეა. დაიწვა სამოქალაქო გამგეობა და ქალაქის საავადმყოფო. ავადმყოფები გადაარჩინეს. მცხოვრებთაგან არავინ არ დაღუპულა.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობა გახსნის წელს შემოდგომაზე 20 ახალ სასწავლებელს და 1905 წელს კიდევ 15 სასწავლებელს იმ განზრახვით, რომ ყველა მსურველთათვის ხელმისაწვდენი გახდეს პირველ დაწყებითი განათლება.

**ბელგრადი.** 5 ივნისს მეორედ ინახულებენ ერთმანერთს ბოლგარიის მთავარი და მეფე პეტრე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# განცხადებანი

საცხენისის პირველ დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 სახელმწიფო თავისუფალი ვაკანსია ამიერ-კავკასიის თავადთა, აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისთვის. მიიღებიან ბავშები 8—10 წლისა. თხოვნები მსურველთ უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტებიც უნდა იყოს: მეტრიკული მოწმობა, ჩამომავლობის მოწმობა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი. (6. 3—1)

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდნათა კურსები

ტფ. საკომერციო სასწავლებელთან

(მეხუთე წელიწადი)

**კურსებზე ასწავლიან:** ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობას. სწავლა დაიწყება **1904 წ. 15 სექტემბრიდან.** კურსები არა ნაკლებ 6 თვისა გაგრძელდება. სწავლება საღამოობით, კვირაში სამჯერ. კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში. (5—1)

საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ამით აცხადებს, რომ თხოვნები იმ პირთა, ვისაც სურთ შვილები მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიაბარონ, მიიღება ყოველ დღე უქმეების გარდა სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1-ლამდე.

მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში ბავშებს **უეგზამენოდ** მიიღებენ; ბავშის წლოვანება უნდა იყოს 7—9 წ. (3—229—1)

წმ. ანტონის მონასტერთან

**10 ამა ივნისიდან** იხსნება სავაჭრო დუქანი ყოველ-გვარის სასმელებითა და სურსათით. დუქანთან ახლად შეკეთებული ნომრები.

(2—1) პატრონი ტ. კუტუბაძე და ამხ.

---

ბერნიაში სწავლა-განათლების წყურვილი იმდენად ძლიერია და სტიქიური, შედარებით, იმდენად უფრო შეგნებულია ხალხი და უფრო შეძლებულიცაა, რომ იქაური ადამიანი ათასნაირს დაბრკოლებას შეებრძოლება და დასძლევს, არაფერს მოერიდება, რათა შვილს განათლება მისცეს. ტფილისის გუბერნიაში ჯერ არ არის ასე, ამიტომ აქაურებს უფრო საჭიროათ დახმარება. იქაურები ასე თუ ისე თვითონაც ახერხებენ თავის გაძღოლას. იმერეთის სოფელში დედ-მამა პატივისცემით ეპყრობა თავის მოსწავლე შვილს და შეუძლებელია სხვა რამეზე გაადგინოს და სკოლაში არ გაუშვას. ტფილისის გუბერნიაში ჯერ ამდენად არ აფასებენ სკოლას და ამიტომაა სასურველი აქაურებისათვის სხვა-და სხვა შეღავათები.

რა თქმა უნდა, უკანასკნელ წლებში ქართლ-კახეთშიაც გაძლიერდა სწავლის წყურვილი. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც კიდევ დიდ-ხანს დააბრკოლებს განათლების საქმეს,—ეს არის სიღარიბე. გლეხებს საჭიროათ პატარა შვილების დახმარება, უმაგისოდ ვერ შოულობენ სარჩო ლუკმას: შვილებს მხარში იყენებენ, ამუშავებენ, საქონელში ჰგზავნიან, მოჯამაგირედ აყენებენ. ყველა წელზე ფეხს იდგამს, რათა როგორმე წლის-წლობამდე ასაზრდოოს თავისი ოჯახი და ხარჯებს გაუძლოს. ასეთ პირობებში, ვიმეორებ, საჭიროა წახალისება, გაადვილება სწავლისა და არა გაძნელება. სკოლა უნდა დაუახლოვდეს ხალხს, მალე ჩაიხედოს მის გულში, თვალები აუხილოს, დაანახვოს თავისი ბედი. სკოლას სხვა არავითარი მიზანი არ უნდა ჰქონდეს გარდა ხალხის გონების განათლებისა და იმდენად მალე მიაღწევს ამ მიზანს, რამდენად უფრო ახლო იქმნება ხალხთან.

სამწუხაროდ, ჩვენში სულ სხვა ამბებს ვხედავთ. მაგალითად, ს. ქარელში 15 წელიწადია არსებობს სამინისტრო სკოლა ვაჟებისა და ქალების განყოფილებით. ამ ხნის განმავლობაში სულ ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ მასწავლებლებად და სკოლის საქმეც კარგად მიდიოდა. ხოლო ეს ოთხი წელიწადია, რაც სხვა ტომის ხალხს ჰნიშნავე ორსავე განყოფილებაში, მერე ისეთებს, რომელთაც ინჩი არ იციან ქართულისა; არც მუნჯური მეთოდი აქვთ შესწავლილი ხეირიანად, რომ რიგიანად ისარგებლონ. სასწავლებელი საწვალებლად არის გადაქცეული. ხალხს სკოლაზე 700 მანეთამდე ეხარჯება, შვილები ოჯახს აკლდებიან და სასწავლებელშიაც ვერაფერს იძენენ და, რა გასაკვირველია, რომ სოფელი ძალიან გულ-აჩხრეკილია სკოლაზე

ზოგიერთი ვინმე გამოდგება და გვისაყვედურებს: სკოლა არ გიყვართო! და ამასაც დანაშაულობად ჩაგვითვლის. ეგეც ბედია! მაგრამ უკაცრავად, არავინ იფიქროს: ვითომც ფატალისტი ვიყო და რაღაც ბედსა და უბედურ ვარსკვლავებს ვაბრალებდე ჩვენს უკუღმართ ცხოვრებას. არა, ყველაფერი ჩვენივე ბრალია, ჩვენის ბედის მჭედელი ჩვენვე ვართ!

**სიტყვა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1905 წ. კედლის 1905 წ.
## ქართული კალენდარი

ვისაც სურს ჩვენი კალენდარი დაიკვეთოს მომავალ 1905 წლისათვის, ვთხოვთ წინათვე შეგვატყობინონ ვინ რამდენს ისურვებს, რომ იმის კვალობაზე შევუდგეთ ბეჭდვას.

ვინც ამთავით დაიკვეთს და ბეის გამოგვიგზავნის, მათ ერთი შაურით ნაკლებ დაეთმობათ ეგზემპლიარი დაბეჭდვის შემდეგ მყიდველებთან შედარებით.

ვთხოვთ წერილები ამ წარწერით გამოგვიგზავნონ:
Тифлисъ. Типографія Григорія Васильевича Чарквіани.
(5—2)



## ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

**სამზარეულოს პლიტები** რკინისა და კაფელისა.

**ფაიანსის ნაჭრები** კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, ჩიხეილის ქ. № 157.
(30—10) **ტელეფონი № 281.**

## ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემი სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

## გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—31) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევი**

## „ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—21). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

## გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

**სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა**

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

**აგენტები** არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—17)

## ფირფიტები აპარატები

უმაღლესის **ხარისხისა**

ყველას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური“.

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

## სააქციონერო საზოგადოებისა გრამმოფონ

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



## კონკურენციის გარეშე!!

გრამმოფონი „ტონარმ“

მემბრანით „ექსიბიშენ“

მემბრანის „ექსიბიშენ“-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ** სახის აპპარატები

**მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!**

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრანით შემდეგია:
**ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სამშვენიერე!!**

გრამმოფონ **„ტონარმ“ს** „ექსიბიშენის“ მემბრანით ოთხი ტიპი აქვს

## 100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

## „გიგანტ“,

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი.** ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემით; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებს

◆ კონკურენციის გარეშე ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ **ეგზავნება.** ეხლახან გამოვიდა და იყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული** რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას, რომანსებისას,** სიმღერებისას, ანსამბლებისას, **ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით ყოველს მსმენელს შეუძლია გაიგონოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ.** (20—9)

## ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვ

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი ($1/20$) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($1/2$ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

**შენიშვნა:** ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—7)



## ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

## ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—45)

## ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

## სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible]ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



## СѢДЕЛЬН.
## СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

**Продаются всевозможн. сѣдл.** მიხაილოვის პრ., სახლი აკოპოვისა, № 92, საზაფხულო სა[illegible]ნიის ახლოს. (წ.—176—35)

**მე ვმუშაობდი ყირიმის საუფლისწულო მამულში** და კარგად შევისწავლე **ამერიკულ ვაზზე დამყნობის ხელობა;** ვეძებ ადგილს მემამულეებთან.

დავით იოსების ძე ჯოხარიძე, თელავის მაზრის სოფ. ახაშნის მცხოვრები. მიჰმართეთ თელავის სამაზრო სამართველოში ესტატე საყვარელიძეს. (3—227—2)

Доз. цензурою. 5 Іюня 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—ва.